

საგანგებორობანას ვირუსი

- კონსტიტუციური წესრიგი საქარტვადოში
და კასუნი კოვიდ 19-ის კრიგინის დროს
- საერთაშორისო ბამოყდიღაბა

სამოქალაქო იღეა



ხადები



სახე



ბანძილი



ავტორი:

მარიამ უსენაშვილი & ანა კონეუჩაშვილი

პასუხისმგებელი გამომცემი:

სამოქალაქო იდეა

თარგმანი:

შენ ვერსიო

რედაქტორი:

თინათინ ხიდაშელი

Virus of Urgency

- **Constitutional Order in Georgia & Responses to Covid 19 Crisis**
- **Responses from Democracies**



**FRIEDRICH NAUMANN
STIFTUNG** Für die Freiheit.



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world



The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

საგანგებო მომართვის პროცესი

- კონსტიტუციური წესრიგი საქართველოში
და პასუხი კოვიდ 19-ის პრიზმის დროს
- საერთაშორისო გამოცდილება

სამოქალაქო იდეა



ხედეტი



სახე



მანძილი

სარჩევი

შესავალი	6
საქართველოში არსებული კონსტიტუციური წესრიგი და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმი	7
საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მექანიზმი საქართველოს კონსტიტუციაში	7
პარლამენტის როლი საგანგებო მდგომარეობის მართვაში საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოების მაგალითზე	8
აღმასრულებელი ხელისუფლების როლი საგანგებო მდგომარეობის მართვაში	11
რელიგიური გაერთიანებების როლი და გავლენა ეპიდსიტუაციის მართვის პროცესში	12
ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ფარგლები	14
ინსტიტუციების ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთკონტროლი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში	15
საერთაშორისო გამოცდილება	17
საგანგებო რეჟიმი  შვედეთსა და  ესტონეთში	17
საგანგებო რეჟიმი  პოლონეთში	18
საგანგებო რეჟიმი  უნგრეთში	19
საგანგებო რეჟიმი  ჩეხეთში	19
საგანგებო რეჟიმი  თურქეთში	20
საგანგებო რეჟიმი  აზერბაიჯანში	20
 გერმანიის ეკონომიკა პანდემიის პირობებში	21
შეზღუდვებისა და სანქციების პროპორციულობის საკითხი საქართველოში	21
დასკვნა	24
ბიბლიოგრაფია	26

2020 წელს მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დადგა. COVID-19 პანდემიამ შეცვალა თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრების წესი. დაავადების გავრცელების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე სახელმწიფოების უმრავლესობამ საგანგებო რეჟიმის მექანიზმის ამოქმედება დაიწყო. ზოგიერთი ქვეყანა ამ პროცესში უფრო გამოცდილი და კანონმორჩილი აღმოჩნდა. შესაბამისად, შეძლო ფართო საზოგადოებრივი პანიკის შეკავება რაციონალური, გონივრული და თანმიმდევრული გადაწყვეტილებებით. ასევე უმნიშვნელოვანესია, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღებოდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მინიმალური შეზღუდვით.

სამწუხაროდ, ბევრმა სახელმწიფომ საგანგებო რეჟიმის ამოქმედების პროცესში, ვერ შეძლო ბალანსის დაცვა უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ძირითადი უფლებების დაცვის ინტერესს შორის და მკაცრი რეგულაციების მიღებით, სრულად უგულებელყო ან მნიშვნელოვნად შეზღუდა ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებები.

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დემოკრატიული ინსტიტუციების ინდივიდუალური როლის განსაზღვრა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, ვინაიდან სწორედ მათი ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით მიიღწევა ზემოხსენებული ბალანსი. - სუბიექტების როლთა გადანაწილება განსხვავდება მმართველობის ფორმების მიხედვით, თუმცა ყველა შემთხვევაში არსებითია პარლამენტის, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს, აქტიური ჩართულობისა და ინფორმირებულობის საკითხი.

იელის უნივერსიტეტის სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი **ბრიუს აკერმანი** თავის ნაშრომში **„საგანგებო კონსტიტუცია“** განიხილავს, ძირითადი უფლებების შეზღუდვის საკითხს საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მაგალითზე. მისი ნაშრომი განიხილავს საგანგებო მდგომარეობის დროს პოლიტიკოსების მიერ შემზღუდველი და მკაცრი კანონმდებლობის მიღების სავალალო შედეგებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ავტორის აზრით, **„ყოველი წარმატებული თავდასხმის შემდეგ, პოლიტიკოსები სხვადასხვა რეპრესიულ კანონებს მოიფიქრებენ და კიდევ უფრო მეტ უსაფრთხოებას დაგვიპირდებიან მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე წელიწადში თავდასხმა სხვა ტერორისტულმა დაჯგუფებამ მოახერხოს. თავის მხრივ, ეს კატასტროფა კიდევ უფრო მეტად შემზღუდავი კანონმდებლობის შექმნას მოითხოვს და ასე შემდეგ. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი შემდეგი საუკუნის განმავლობაში 11 სექტემბრის მასშტაბის 4-5 თავდასხმა განხორციელდება, ეს დესტრუქციული ციკლი, 2050 წლისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდება სამოქალაქო უფლებებისთვის.“**

აკერმანის პროგნოზი შეეხება არამხოლოდ ტერორისტულ თავდასხმებს, არამედ სხვა ნებისმიერი მიზეზით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებსაც, რომლებიც მასშტაბურობით უტოლდება ან შესაძლოა აღემატებოდეს კიდევ ტერორისტულ აქტებს. ასეთად, თავისთავად, შეიძლება მივიჩნიოთ ახალი Covid-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიაც, რომელმაც სახელმწიფოებს მოუწყო ერთგვარი გამოცდა საგანგებო მდგომარეობის პირობებში, არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შენარჩუნების, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების გამძლეობის გამოცდის კუთხით.

საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი COVID -19-ის კრიზისს სწორედ ომს ადარებს და წერს, რომ როგორც ომში, ისე პანდემიის დროსაც:

„ადამიანები მასობრივად იღუპებიან, ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა ნადგურდება, მსოფლიო საზოგადოებაში დიდი პანიკა და იდეოლოგიური კრიზისია, არეულია სწორისა და არასწორის, ლეგიტიმურისა და არალეგიტიმურის განმასხვავებელი ნიშნები. ყველაფერი უფრო დიდი მიზნის, სიცოცხლის გადარჩენის, არგუმენტითა და ამოცანით მართლდება. შესაბამისად, ზუსტად ისე, როგორც დიდი, გამანადგურებელი ომის დროს, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული პროცედურები, ძალისა და შეზღუდვების ლეგიტიმური გამოყენების მართვა, საინფორმაციო სივრცის თავისუფლება და მიუკერძოებლობა თითქოს მეორეხარისხოვანი ხდება.“

ვინაიდან, 2020 წელს მსოფლიოში მძვინვარე ვირუსს ახასიათებს პერიოდული „აფეთქება“, მთავრობები ყოველი ახალი აფეთქებისას შეზღუდვების ახალ დონეს და ახალ წესებს მიმართავენ, რაც თავის მხრივ სამოქალაქო უფლებების „შევიწროების“ ახალ ეტაპს და აკერძანის პროგნოზის კიდევ უფრო მოკლე ვადებში განხორციელებას გულისხმობს.

ამ პროცესის შეჩერების, რეგულირების და გაკონტროლების გზა კი დემოკრატიული ინსტიტუტების ურთიერთშეთანხმებული და დემოკრატიული პრინციპების დაცვით განხორციელებული თანამშრომლობაა, რაც გულისხმობს არა საგანგებო მდგომარეობაზე მორგებული ერთიანი კანონმდებლობის შექმნას, ადამიანის უფლებების ბლანკეტური და სრული შეზღუდვის ხარჯზე, არამედ მოქნილი რეგულაციების მიღებას ასევე მოქნილი კალენდრით და მინიმალური შეზღუდვებით.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ დემოკრატიული ინსტიტუციების:

- ✓ რეაგირებასა და გამოხმაურებას საგანგებო რეჟიმის ფარგლებში;
- ✓ ჩართულობას კანონშემოქმედებით პროცესში;
- ✓ მიღებული რეგულაციების მიზნობრიობას და ვარგისიანობას;
- ✓ მიღებული გადაწყვეტილებების აუცილებლობასა და თანაზომიერებას.

საქართველოში აკსეპტირებული კონსტიტუციური წესრიგი და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი ჩაქოვანი

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების
მექანიზმი საქართველოს კონსტიტუციაში

საქართველოს კონსტიტუციის, 2018 წლის რედაქციის შესაბამისად, 71-ე მუხლი ითვალისწინებს ქვეყანაში საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების წინაპირობებს და ამ რეჟიმში მოქმედების ინსტრუქციებს.

მუხლი 71.3. საქართველოს კონსტიტუცია	სახელმწიფოს უზენაესი კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ მინისტრის წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის შესაძლებლობა აქვს, რომლებიც მოქმედებს, შესაბამისად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.
--	--

აღსანიშნავია, რომ ცალკე საგანგებო მდგომარეობის შესახებ მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წლამდე არ არსებობდა. მაგალითად, 2017 წლის რედაქციით, ზემოხსენებული დათქმა მეოთხე თავში-(საქართველოს პრეზიდენტი) იყო:

მუხლი 73, „ი“ ქვეპუნქტი საქართველოს კონსტიტუცია 13/10/2017 - 23/03/2018 რედაქცია	„პრეზიდენტი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე(...) დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება;“
--	---

კონსტიტუციური დებულებებიდან გამომდინარე, კონსტიტუციის დღემდე მოქმედ რედაქციაში საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ძალთა გადანაწილების განსხვავებული პრინციპი მოქმედებდა; განსხვავებული იყო სახელმწიფო ინსტიტუციების როლიც: პრეზიდენტს არ სჭირდებოდა პრემიერის წარედგინება დეკრეტის გამოცემისას, ასევე დეკრეტები პარლამენტს წარედგინებოდა შეკრებისთანავე და სხვა.

2018 წელს ეს დათქმა შეიცვალა და დეკრეტები პარლამენტს დაუყოვნებლივ წარედგინება, ანუ პარლამენტს გაუჩნდა საგანგებო მდგომარეობის დროს შეკრების ვალდებულება.

2017 წელს, პრეზიდენტს, კონსტიტუციით 48 საათი ჰქონდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ან/და უფლების შეზღუდვის შესახებ დეკრეტის პარლამენტისთვის წარსადგენად, ბოლო ცვლილებებით კი, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს ისინი პარლამენტს.

2018 წლიდან, საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციით, შედარებით გაზრდილია ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლის ხარისხი, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად მოახერხა ხელისუფლებამ ახალი მექანიზმის პრაქტიკაში ეფექტურად იმპლემენტაცია.

პარლამენტის კონსტიტუციის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და პარლამენტის სახელმწიფოების გაგებით

საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებული საგანგებო მდგომარეობის მექანიზმის დეტალებს და მასში პარლამენტის ჩართულობის საკითხს ასევე არეგულირებს „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“, რომლის შესაბამისადაც, **საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტების დამტკიცების საკითხებს პარლამენტი განიხილავს დაუყოვნებლივ და მათ კენჭი ეყრებათ წინასწარი საკომიტეტო მოსმენისა და სხვა შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე.** ხოლო ზემოხსენებულ საკითხებზე **პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.**

როგორც უკვე ითქვა, პარლამენტი დაუყოვნებლივ იწყებს მსჯელობას პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული გადაწყვეტილებების თაობაზე და შესაბამისი უმრავლესობით ამტკიცებს მათ. აქვე, აუცილებლად, დასაწყისშივე აღსანიშნავია კონსტიტუციის კიდევ ერთი დებულება. კერძოდ, 44-ე მუხლი რომელიც აცხადებს, რომ:

მუხლი 44.3. საქართველოს კონსტიტუცია	საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.
--	--

სწორედ ამ დებულების წყალობით არის შესაძლებელი საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების მობილურობა და ადაპტირება ვითარების დამძიმების ან შემსუბუქების შესაბამისად. პარლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე და არ იშლება ამ უკანასკნელის გაუქმებამდე.

იმისათვის, რომ პანდემიის გავრცელების პრევენციის პირობები არ დაერღვიათ და სოციალური დისტანცია უზრუნველყოთ, იმავდროულად კონსტიტუციით გაწერილი დემოკრატიული პრინციპებიც დაეცვათ, სწორედ მსგავსი კონსტიტუციური რეგულირების ფარგლებში, ორიგინალური მეთოდების მყისიერი იმპლემენტაცია დაიწყო ევროპის ქვეყნების პარლამენტებში.

მაგალითად, შვედეთში  პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, პირისპირ შეხვედრების დროს პარლამენტის ზომის შემცირებაზე, ამიტომ, 345 დეპუტატიდან მხოლოდ 55 ესწრებოდა პარლამენტის კენჭისყრას შენობაში, რის შედეგადაც შეძლეს პროპორციული სისტემის შენარჩუნება. 2020 წლის 22 აპრილს, „სამოქალაქო იდეას მიერ ორგანიზებულ რიგით მეორე ვებდისკუსიის ფარგლებში რიკს-დაგის (შვედეთის პარლამენტი) ვიცე-სპიკერმა კერსტინ ლუნდგრენმა განაცხადა:

”ჭერჭერობით, ჩვენ საკმაოდ კარგად ვახერხებთ ჩვენი დემოკრატიული მოდელის შენარჩუნებას, ასევე მუშაობენ ნორვეგია და დანია ... ისინი მაგალითს სწორედ შვედეთისგან იღებენ.”

ესტონეთში  პარლამენტმა, სწორედ პანდემიის პირობებში მუშაობის დროს, არა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებსა და ავ-კარგიანობაზე მოახერხა მსჯელობა, არამედ სრულიად ჩვეულებრივი საკანონმდებლო საქმიანობა ქონდათ და საპარლამენტო დებატებისა და განხილვების რეჟიმში წარმატებით მიიღო პირველი ანტიკრიზისული საკანონმდებლო პაკეტი, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. ნათელია, რომ ეს ქვეყნები აცნობიერებენ სამყაროს სწრაფი ცვლილებით გამოწვეულ შედეგებს, და ცდილობენ ეფექტურად მოერგონ ახალ რეალობას და თავიანთი წარმატებული გამოცდილება პარტნიორებსაც გაუზიარონ.

კოვიდ-19-ის კრიზისის გამოწვევების თაობაზე „სამოქალაქო იდეას“ მიერ ორგანიზებული რეგულარული საერთაშორისო ვებ დისკუსიების ფარგლებში, **უკრაინის**  პარლამენტის გამოცდილებაზე ისაუბრა, უკრაინის რადას ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე კომიტეტის თავმჯდომარე **ივანა კოლიმპუშ-ცინცაძე** და აღნიშნა, რომ **პარლამენტმა წარმატებით დანერგა ონლაინ შეხვედრების სისტემა. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სესიები ტარდებოდა შენობაშიც, თუმცა დაცული იყო ყველა სანიტარული მოთხოვნა (ხელთათმანები, სამედიცინო სათვალეები, ნიღბები და სხვა).**

ლიეტუვა  ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ძალიან სწრაფად ვითარდებიან საინფორმაციო საზოგადოების მიღწევების მოხმარების კუთხით. **ინტერნეტის გამოყენების 80% სწორედ სამუშაო პროცესებზე მოდის, რადგან თითქმის ყველაფერი ციფრულ რეჟიმში გადავიდა. ბავშვები სახლიდან იღებენ ონლაინ განათლებას, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დაწყებამდე არაფერი იცოდნენ zoom-სა და სხვა მსგავს პლატფორმებზე, არ ჰქონდათ შესაბამისი ტექნოლოგია. ხელისუფლებამ ოპერატიულად, ორ კვირაში, მოახერხა სკოლების და სასკოლო სივრცეების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით. ლიეტუვას ეროვნული უსაფრთხოების მინისტრის მოადგილე ედვინას კერძა ჩვენთან დისკუსიის დროს აცხადებდა, რომ პანდემიით გამოწვეული სიტუაცია შესანიშნავი შესაძლებ-**

ლობაა ტექნოლოგიური განვითარებისთვის, რაც სამომავლო პერსპექტივაში ძალიან გამოადგება სამყაროს, რადგან ადამიანები ფორს-მაჟორულ გარემოში შეიძენენ ახალ კიბერ უნარჩვევებს.

ბეღია

ეპიდსიტუაციასთან ოპერატიულად და ეფექტურად ადაპტირება შეძლო ბელგიამაც . მართში, ბელგიის წარმომადგენელთა პალატამ რეგლამენტში შეიტანა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, გარკვეულ შემთხვევებში, პალატის წევრი „დასწრებულად“ მიიჩნევა მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა იგი ფიზიკურად პლენარულ სხდომასა და კომიტეტის შეხვედრაზე. ასევე, ახალი რეგლამენტის შესაბამისად, წევრებს კენჭისყრაში ელექტრონულად ან ელ. ფოსტის მეშვეობით მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ. დისტანციური კომიტეტის სხდომებზე ხმის მიცემა ხდება ხელის აწევით ან ვერბალურად პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების გამოყენებით. პლენარული სხდომისთვის კი, კენჭისყრა ხმის მიცემის ციფრული სისტემის საშუალებით ხდება, რომელიც პანდემიის პერიოდში შეიმუშავა პარლამენტის IT დეპარტამენტმა, ფიზიკურად და დისტანციურად მყოფი წევრებისთვის. მაისში კი, წარმომადგენელთა პალატის გამოცდილება სენატმაც გაიზიარა.

სამწუხაროდ, ამ მხრივ, ევროპის ქვეყნების მაგალითი არათუ არ გაიზიარა, არამედ საერთოდ უგულებელყო საქართველოს პარლამენტმა. ვებ-დისკუსიის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, **დავით უსუფაშვილმა** აღნიშნა, რომ

„

საქართველოში არსებულმა ეპიდსიტუაციამ ნათლად წარმოაჩინა, თუ როგორ ასანთის ღერებზე დგას ჩვენი სახელმწიფო. **პარლამენტი რომ განერიდებოდა ამ პროცესებს, ჩემთვის იყო ნათელი, მაგრამ საერთოდ შეაჩერებდა მუშაობას ეს ვერ წარმომედგინა“-** ამბობს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, **დავით უსუფაშვილი**.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება-მართვის „ჩარჩო-მექანიზმი“ მოიცავს ხელისუფლების ორი შტოს - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ინსტიტუციების ოპერატიულ ურთიერთთანამშრომლობას შემდეგი თანმიმდევრობით:



ერთი შეხედვით, მექანიზმი საკმაოდ მყარია, ვინაიდან ურთიერთკონტროლისა და ხელისუფლების შტოების ურთერთბალანსის ელემენტებს შეიცავს და მიმართულია აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, ავტორიტარული ქმედებების შეზღუდვისაკენ, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად მუშაობას იგი პრაქტიკაში.

დღევანდელ რეალობაში საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა ერთი პარტიის წევრებითაა დაკომპლექტებული და პრეზიდენტიც სწორედ ამ პარტიის ღია მხარდაჭერითაა არჩეული, პარლამენტის მიერ ზედამხედველობის განხორციელება და აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკული შეფასება რთული წარმოსადგენია. ამას ემატება ისიც, რომ პრეზიდენტის დეკრეტების დამტკიცების საკითხები პარლამენტში დაუყოვნებლივ განიხილება და კენჭი ეყრება წინასწარი საკომიტეტო მოსმენისა და სხვა შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე. საქართველოში, კონონაციურის ფარგლებში გამოცხადებულ საგანგებო რეჟიმზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია საგანგებო მდგომარეობის დროს გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას აღმასრულებელ ხელისუფლებას გადასცემს, მხოლოდ იმ დათქმით, რომ ეს გადაწყვეტილებები საპარლამენტო კონტროლს ექვემდებარება და საკანონმდებლო ორგანოს მიერ დაამტკიცება ჭირდება. პრინციპში, პრაქტიკულად ანალოგიური დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობის კონსტიტუციური პრინციპებიც.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის როლი ამ პროცესში ერთგვარად მეორადია, ვინაიდან უკვე ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს განიხილავს და მხოლოდ ნეგატიური ძალა აქვს (ვერ ცვლის, შეუძლია მხოლოდ დაადასტუროს ან უარყოს), მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა საგანგებო მდგომარეობა არ გადაიქცეს ავტორიტარული მმართველობის რეჟიმად.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ქართული „საგანგებო რეჟიმის მექანიზმი“ პარლამენტს ისედაც არ აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განიხილოს პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული შემზღუდველი რეგულაციები მის დამტკიცებამდე. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხის განხილვისას კამათი არ მიმდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ პარლამენტის წევრს ეზღუდება მომხსენებლისათვის, თანამომხსენებლისა და სხდომის თავმჯდომარისთვის შეკითხვის დასმის, პასუხის მიღებისა და შეფასების უფლებამოსილება. ამ შემზღუდვამ უხერხულობა გამოიწვია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 22 აპრილის საგანგებო სესიის სხდომაზე, სადაც პარლამენტის წევრებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კითხვის დასმის საშუალება არ მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის წევრმა **სალომე სამადაშვილმა** სწორი ტაქტიკით იმოქმედა და პროცედურის თაობაზე საკუთარი პროტესტი შენიშვნის ფარგლებში მოაქცია, პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატს მაინც არ მისცა სიტყვის დასრულების შესაძლებლობა, ვინაიდან, მისი შენიშვნა საგანგებო მდგომარეობის რაობაზე სწორედ დისკუსიის წამოწყებად მიიჩნია და, შესაბამისად, ნაადრევად გამოურთო მიკროფონი. ასევე, პარლამენტის წევრმა, **ეკა ბესელიამ** აღნიშნა, რომ პროდესურა და ფორმატი, რომლითაც პრეზიდენტის დეკრეტის განხილვა ხდებოდა, არასწორი იყო, ვინაიდან პარლამენტის რეგლამენტის 238-ე მუხლის მიხედვით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების განხილვისას მართალია „კამათი არ მიმდინარეობს“, თუმცა აღნიშ-

ნული ნორმა არ ითვალისწინებს კითხვის დასმის დაუშავებლობას; შესაბამისად, დეპუტატებს უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა, დაესვათ კითხვები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების როლი საგანგებო მდგომარეობის პაქტში

როგორც უკვე ითქვა, სწორედ იმიტომ, რომ პარლამენტს თავისი ნორმალური ფუნქციონირებისგან გასხვავებული, შეზღუდული რეჟიმი აქვს, განსაკუთრებით აქტუალური ხდება კონსტიტუციური პროცედურისა და პრინციპების დაცვა, რათა სრულად არ დაიკარგოს მისი საზედამხებელო ფუნქცია, ხოლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ/ვერ უგულებელყოს ანგარიშვალდებულების დემოკრატიული პრინციპი.

2020 წლის კოვიდ კრიზისის მართვის რეჟიმის დადგენის დროს, საპირისპირო მდგომარეობა მივიღეთ საქართველოში, როდესაც საპარლამენტო ზედამხედველობის კომპონენტი, ფაქტობრივად სრულად დაიკარგა პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დებულებების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეკრეტი მაღალი ენთუზიზმით დაამტკიცა პარლამენტის უმრავლესობამ - 115 მომხრე და 0 წინააღმდეგი.

პარლამენტს, ამ მხრივ, არც პრემიერ-მინისტრი „ჩამორჩა“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს, საგანგებო მდგომარეობის არც ერთ ეტაპზე, პრემიერ-მინისტრი პარლამენტში არ გამოცხადებულა. **თინათინ ხიდაშელი**, რადიო თავისუფლებისთვის მომზადებულ სპეციალურ ბლოგში „ქართული პოლიტიკური სისტემის კრაზი კოვიდ-19-თან ბრძოლის ველზე“ წერს,

”

კრიზისის პირველი თვის თავზე, დეპუტატებისთვის უსიტყვო და უპირობო მხარდაჭერის თხოვნის მიზნით, პრემიერის ნაცვლად, პარლამენტში წარსდგა მისი აპარატის უფროსი, რომელიც პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან თავისუფალია.

საპარლამენტო გამოსვლის დროს, მთავრობის წარმომადგენელს მოკლე მიმოხილვაც კი არ გაუკეთებია უკვე მოქმედი რეგულაციების შედეგებზე: თუ როგორ გააუმჯობესა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა ქვეყანამ? ან რა ზომები გაატარა მთავრობამ ეკონომიკის გადასარჩენად, სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად? ან რომელიმე სხვა საკითხზე რაზეც მოსახლეობა ელოდა მთავრობის პასუხებსა და ხედვებს.

სრული ინფორმაციული ვაკუუმის მიუხედავად, პარლამენტმა კვლავ გასცა თანხმობა რეგულაციების მიღებაზე.

კრიზისი კრიზისების კოლი და გავლენა ეკონომიკის პარამეტრებზე

Covid-19-ის პირველი ტალღა და ვირუსის მასობრივი „აფეთქება“ 2020 წლის გაზაფხულზე სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულს დაემთხვა, მათ შორის - აღდგომას, რომელსაც ქრისტიანული სამყარო სწორედ გაზაფხულზე აღნიშნავს. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში განხორციელებული აკრძალვების ფონზე, განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგნენ რელიგიური გაერთიანებები. ზოგიერთ სახელმწიფოში ამ ამბავს მაღალი თვითშეგნებითა და პასუხისმგებლობით შეხვდნენ. სასულიერო პირები საკუთარ მრევლს რეგულაციების დაცვისკენ მოუწოდებდნენ, მათ შორის, აღდგომის ღამეს სახლში დარჩენას და წირვის პირდაპირი ეთერით მოსმენას.

ჩვენი რეგულარული ვებ-დისკუსიების დროს მრავალი სპიკერი საუბრობდა რელიგიური გაერთიანებების მაღალ პასუხისმგებლობაზე სოციალური დისტანციისა და „დარჩი სახლში“ პოლიტიკის პირობებში. მაგალითად, ესტონეთსა და შვედეთში აღნიშნა, როგორც პროტესტანტული ასევე მართლმადიდებლური აღდგომის დღესასწაული, თუმცა ეკლესიები იცავდნენ მთავრობის მითითებებს და რიტუალები მრევლის გარეშე მიმდინარეობდა და გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით.

უკრაინაში, ბევრი ადამიანი სახლში დარჩა და აღდგომის ღამეს დისტანცირად ადევნებდა თვალს საეკლესიო წირვას პირდაპირ ეთერში. უკრაინაში პრაქტიკულად ყველა ეკლესიამ დისტანცირად, მრევლის გარეშე ჩაატარა საეკლესიო რიტუალები, გარდა ყველაზე დიდი, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა, რომელიც ხალხს მოუწოდა, მისულიყვნენ და ფიზიკურად დასწრებოდნენ წირვას. ქალბატონი ირინა კლიმპუშ-ცინცაძე ჩვენი დისკუსიის დროს აცხადებდა, რომ ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, რუსული ეკლესიის მიმართვა და პოზიციონირება იმაზე მიუთითებდა, რომ მათი მიზანი უკრაინაში კრიზისის გამწვავება იყო, უკრაინის მოქალაქეების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება გზით. ანალოგიური იყო სახელმწიფოს და ხელისუფლების განწყობაც. მაგალითად, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არსენ ავაკოვმა, სამღვდელოების ქმედებები უპასუხისმგებლობად და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი უპატივცემულობად შეაფასა.

სერბეთის პატრიარქი, ირინეი, ბოლო წუთებამდე ცდილობდა ხელისუფლების დაყოლიებას აღდგომის დღესასწაულის წინ კომენდანტის საათის შეზღუდვის შემსუბუქებაზე, რათა მორწმუნეებს შეძლებოდათ ეკლესიაში შეკრება და ზიარება. აღსანიშნავია, რომ პატრიარქ ირინეის გარკვეული გავლენები აქვს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. ასევე სერბეთის

პრეზიდენტ, ალექსანდარ გუჩიჩის, არაერთხელ საჯაროდ გამოუხატავს თავისი პატივისცემა პატრიარქისადმი. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ძალიან მტკიცედ დახვდა პატრიარქის მოწოდებებს, და შეუვალი აღმოჩნდა მისი გავლენების მიმართ და არათუ შეამსუბუქა შეზღუდვები აღდგომის ღამეს, არამედ კიდევ უფრო გაამკაცრა და 14 აპრილიდან ერთი კვირის ვადით, ახალი კომენდანტის საათი შემოიღო, რომელიც 17 საათიდან დილის 5 საათამდე მოქმედებდა.

 სომხეთში, სამოციქულო ეკლესიამ აღდგომა 12 აპრილს იხეიმა. ვირუსის აფეთქების გამო სასულიერო პირებმა წირვების ჩატარება დახურულ კარს მიღმა დაიწყეს, ხოლო მრევლი წირვას პირდაპირი ეთერით უყურებდა. ეჩმიაძინის ტაძარში, სომეხთა კათოლიკოსის, გარეგინ მეორის მიერ ჩატარებული წირვა კი სომხეთის ეკლესიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

ასევე მსოფლიო პატრიარქმაც მიმართა მართმადიდებლურ სამყაროს და მორწმუნეებს სახლებიდან ლოცვისკენ მოუწოდა: „ახლა დროა პირადი და სოციალური პასუხისმგებლობისა. ამიტომ, ჩვენო ძვირფასო შვილებო, გვედრებით როგორც თქვენი სულიერი მამა, რწმენითა და მოთმინებით უპასუხეთ ყველა იმ რთულ, მაგრამ აუცილებელ ზომებს, რომელსაც ჩვენი ჯანდაცვის უწყებები და სახელმწიფოები გვთავაზობენ. ყველაფერი კეთდება ჩვენი დაცვისთვის, ჩვენი საერთო სიკეთისთვის, რათა შეჩერდეს ამ ვირუსის გავრცელება. ამ გასაჭირისგან ჩვენი გათავისუფლება მთლიანად ჩვენს ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ალბათ, ზოგიერთ თქვენგანს მიაჩნია, რომ ეს მკვეთრი ზომები ძირს უთხრის ან ზიანს აყენებს ჩვენს რწმენას. თუმცა ის, რაც საშიშროების წინაშე დგას, არის არა ჩვენი რწმენა, არამედ მორწმუნე, არა ქრისტე, არამედ ჩვენი ქრისტიანები, არა ღმერთ-კაცი, არამედ ადამიანი.“

სამწუხაროდ, ზემოხსენებული მიდგომები და მსოფლიო პატრიარქის მოწოდება არ გაიზიარა  საქართველოს საპატრიარქომ და იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები არ გაითვალისწინეს, ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ და წირვა-ლოცვა ჩვეულ რეჟიმში ჩაატარეს. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არაფრად ჩააგდო ადამიანების სიცოცხლე და მრევლს მოუწოდა აღდგომის ღამეს ლიტურგიას დასწრებოდნენ ეკლესიებში. უფრო სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მთავრობაც უძლური აღმოჩნდა ეკლესიის წინაშე. მიუხედავად იმ პერიოდში არსებული შეკრებისა და გადაადგილების შეზღუდვისა, ტაძრებში, დახურულ სივრცეში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. 2020 წლის 16 აპრილს დადგენილება №252-ით მთავრობამ გარკვეული პერიოდით შეზღუდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, თუმცა ეს აკრძალვაც საეკლესიო პირებმა არაფრად ჩააგდეს და მაინც გადაადგილდებოდნენ საკუთარი ჯიპებით. სახელმწიფოსთვის უკიდურესად დამაზიანებელი იყო, ამასთან დაკავშირებით, პრემიერ **გიორგი გახარიას** განცხადება, როდესაც ერთმნიშვნელოვნად გამოჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტების მარცხი ეკლესიის ავტორიტეტთან:

„ქალაქში მანქანებით გადაადგილების აკრძალვის დროს, მისთვის "წარმოუდგენელი" და "შეუძლებელი" იყო, საეკლესიო მსახურებისთვის არ მიეცა გადაადგილების უფლება აღდგომის ღამეს.“

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საეკლესიო პირებს, რეგულაციების დარღვევისთვის არავინ აჯარიმებდა. ქართული ეკლესიის დაუმორჩილებლობა იმდენად ხმამაღალი და აგრესიული იყო, რომ მას CNN-იც კი გამოეხმაურა მასალით - „საქართველოს დაუმორჩილებელი ეკლესია შეზღუდვების მიუხედავად აღდგომას მრევლს უმასპინძლებს“:

”

გავლენიანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დიდ სადღესასწაულო ღონისძიებებს გეგმავს, რაზეც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს... თუკი საადგომო დღესასწაულებზე ადამიანების თავშეყრა იქნება, საქართველოს მიერ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატება, შესაძლოა, რისკის ქვეშ დადგეს"

ნათელია, რომ, ქართულმა ეკლესიამ კბილი მოუსინჯა ძალაუფლებას და მოახდინა საკუთარი გავლენების დემონსტრაცია მთავრობისა და ზოგადად, ქართული საზოგადოების წინაშე. სწორედ ამით აიხსნება მისი დაჟინებული მოთხოვნა ლიტურგიის ეკლესიებში ჩატარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობამ რიტუალი მრევლის გარეშე აღავლინა.

ძიკითაღი უღეგეგის ჟეზღუჟვის კონსტიტუციით გათჟალისწინეჟული ჟაკგლეჟი

საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტს აძლევს შესაძლებლობას, დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები, რომლებიც მოიცავს, შესაბამისად, ადამიანის -

- თავისუფლების უფლებას,
- მიმოსვლის თავისუფლებას,
- პირადი და ოჯახური ცხოვრების,
- პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს,
- აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები,
- სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების,

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის,
- ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები,
- საკუთრების უფლება,
- შეკრების თავისუფლება,
- შრომის თავისუფლება,
- პროფესიული კავშირების თავისუფლება,
- გაფიცვის უფლება და მეწარმეობა.

ასევე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პრეზიდენტის დეკრეტი გამოცემის მომენტიდან შედის ძალაში. აქვე, აუცილებელია დავაზუსტოთ რას ამბობს კონსტიტუცია.

„საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს“.

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი

როგორც ტექსტიდან ნათლად ჩანს, პრეზიდენტს „უფლება აქვს“ და არა ვალდებულება ან აუცილებლობა. შესაბამისად, სწორედ მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის ხარისხიდან გამომდინარე, უფლებებისა და საგანგებო მდგომარეობის აუცილებლობის მოთხოვნებს შორის ბალანსის დაცვით უნდა გამოიყენოს პრეზიდენტმა აღნიშნული უფლებამოსილება ნებისმიერი დეკრეტის გამოცემის დროს.

რეალურად, 2020 წლის 21 მარტის პრეზიდენტის №1 დეკრეტი: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ მოიცავს მხოლოდ კონსტიტუციის იმ მუხლების ჩამონათვალს, რომელიც დეკრეტით უნდა შეზღუდულიყო, ხოლო შეზღუდვის ფარგლების, ფორმატის და ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლება საქართველოს მთავრობას მიენიჭა. ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთ სიტყვა კონკრეტულად იმ

მომენტიანის უკლებლივ ყველა შესაძლო უფლების შეზღუდვის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის გადაუდებელი პირობების შესახებ. მაგალითისთვის, **დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად, შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მიმოსვლის თავისუფლება და იმავდროულად, იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის უფლება საქართველოს მთავრობას მიენიჭა.**

2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო კიდეც დადგენილება №181 საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დეტალურად განსაზღვრა,

- ✓ კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფარგლები,
- ✓ ეკონომიკის პარალიზება მოხდა. დაიკეტა კვების ობიექტები, კომპანიათა უმრავლესობა, ვინც ეს შეძლო, მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა.
- ✓ უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური და შესაბამისად, შემოსავლის წყარო,
- ✓ აიკრძალა საქალაქთაშორისო გადაადგილება და დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლა, 2020 წლის 16 აპრილს დადგენილება №252-ით კი გარკვეული პერიოდით შეიზღუდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებაც.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტის დეკრეტი საჭიროებს პარლამენტის დასტურს მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა დადგენილებას იღებს სტანდარტული წესით და მასზე აქტიური საპარლამენტო კონტროლი ვერ ხორციელდება. კონკრეტულად კი:

„**საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „კომიტეტი უფლებამოსილია შეამოწმოს საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა“;**

მესამე პუნქტის თანახმად კი, „**ამ მუხლით გათვალისწინებული დავების ან რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში კომიტეტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**“

შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ უკვე მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პარლამენტს არ შეუძლია ეფექტური კონტროლის განხორციელება და მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლება.

მაშასადამე, პრეზიდენტმა, კონსტიტუციისათვის ფორმალურად გვერდის ავლით, მართვის სადავეები მთლიანად მთავრობას გადასცა, რამდენადაც საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში გასატარებელი რეგულაციების მიღების უფლებამოსილება მას მიანიჭა. ამ ქმედებით, ფაქტობრივად, **უგულებელყო კონსტიტუციით დაცული მიზანი და ინტერესი - ერთი მხრივ საგანგებო მდგომარეობისას მიღებულ შეზღუდვებს ჰქონოდა როგორც აღმასრულებელი, ისე**

საკანონმდებლო ხელისუფლების ლეგიტიმაცია, და მეორე მხრივ, სრულად სიტუაციის შესაბამისი ყოფილიყო.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებულის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს საპარლამენტო მონიტორინგის მექანიზმი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან და გაგრძელებასთან (და შეწყვეტასთან) დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა ეჭვი, რომ „**პანდემია იქცევა საბაბად, რომელიც ინდივიდუალური უფლებების შეზღუდვასა და მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს ჩარევას გაამართლებს.**“ შესაბამისად, ეს „ეჭვი“, რომ არ გამართლდეს -

- აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთპიროვნულად მოქმედების უფლებამოსილება დროის მაქსიმალურად მცირე მონაკვეთში უნდა მიეცეს, რომელიც საკმარისი იქნება საკანონმდებლო ორგანოს შეკრებისა და საკითხის განხილვისათვის.
- მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გადაწყვეტილებებში აბსოლუტურად შემზღუდავი ან აღმჭურველი დებულებების არსებობა;
- მუდმივად უნდა ჩანდეს განსჯისა და განონასწორების მცდელობა.

პროფესორ აკერმანის შეხედულებით, ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში მოქმედი რეჟიმი შეიძლება ძალაში იყოს ერთი ან ყველაზე მეტი - ორი კვირა. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებულ მკაცრ შეზღუდვებთან დაკავშირებით, იგი იშველიებს აბრაამ ლინკოლნის სიტყვებს:

„**განა ერთი კანონის გარდა ყველა აღსრულების გარეშე უნდა დარჩეს და სახელმწიფო ნაკუნებად უნდა იქცეს, იმის მცდელობაში, რომ მისი დარღვევა თავიდან აიცილოს?**“

პრემიერ-მინისტრისათვის განუსაზღვრელი ვადით უფლებამოსილების მინიჭება, რომ აკეთოს რაც უნდა, თავისთავად, გულისხმობს ავტორიტარიანული მმართველობის კურსის აღებას. ამ პროცესში **„პანდემიის თანმდევი პანიკა ბიუროკრატიული რეპრესიის ძრავად გარდაიქმნება.“**

საქართველოში განვითარებული სცენარი, სამწუხაროდ, ზუსტად ემთხვევა აკერმანის პროგნოზს. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას საზოგადოებრივი პანიკა შეეკავებინა და მოქალაქეები დაერწმუნებინა იმაში, რომ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება, ვინაიდან სახელმწიფომ შეიმუშავა ეფექტური მოკლევადიანი ზომები ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ, მთავრობამ აირჩია მისთვის ბევრად მარტივი გზა, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების სრულ, უხეშ და არათანაბრობიერ შეზღუდვაზე გადიოდა. მარტივად რომ ვთქვათ, **საქართველოში 2020 წლის საგანგებო მდგომარეობის დროს უბრალოდ გაუქმდა ადამიანის უფლებები.**

იმისთვის, რომ საგანგებო მდგომარეობის პერიოდი არ იყოს განუსაზღვრელი და საზოგადოებას ჰქონდეს მომავლის გონივრულად დაგეგმვის შესაძლებლობა, ბიზნესმა შეძლოს ეკონომიკური პროგნოზების გაკეთება და მის საფუძველზე საქმიანობის გაგრძელება, საჭიროა არსებობდეს საგანგებო მდგომარეობის პერიოდის გაგრძელების მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ერთპიროვნული, პოლიტიკური გავლენებით მიღებული გადაწყვეტილებების პრევენციას. პროფესორ აკერმანის „საგანგებო კონსტიტუციის“ ფარგლებში სწორედ ამგვარი მექანიზმის მოდელია შემოთავაზებული, რომლის შესაბამისადაც, **საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს, თუკი მას უმრავლესობა დაუჭერს მხარს, რაც, თავის მხრივ, უნდა ემსახურობოდეს საგანგებო მდგომარეობასთან გამ-**

კლავებს, დროის მაქსიმალურად მოკლე პერიოდში - ორი ან სამი თვის განმავლობაში. გახანგრძლივებას კი სუპერუმრავლესობა უნდა დასჭირდეს - 60% შემდგომი ორი თვის განმავლობაში, 70% - ერთი თვის შემდეგ, ხოლო მომდევნო თვეს - 80%. ყოველ კენჭისყრამდე ადგილი ექნება დებატებს, რომლებშიც პოლიტიკოსები, პრესა და დანარჩენი საზოგადოება ვალდებული იქნება კიდევ ერთხელ დასვას კითხვა: არის კი ეს საგანგებო მდგომარეობა მართლაც საჭირო?

აკერმანის არგუმენტის პასუხად, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მოთხოვნების სტანდარტის დარღვევისა საქართველოში 2020 წლის გაზაფხულზე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას სრული საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია ქონდა. ვებ-დისკუსიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის წევრმა, **ელენე ხოშტარიამ** განაცხადა, რომ

„კოვიდის გამო მოქალაქე მზადაა, თუ მას დაიცავენ ამ ეპიდემიისაგან, ადამიანის უფლებებს შეეღწეოს. კანონის უზენაესობის საკითხში ხშირად უჭირთ პოსტსაბჭოურ სივრცეში. საჭიროა პრეცედენტების შექმნით გამყარდეს ახალგაზრდა ლიბერალულ-დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლები.“

ამავე დისკუსიის ფარგლებში, საზოგადოებრივი აზრის მობილიზების აუცილებლობაზე საუბრობდა დავით უსუფაშვილიც. მან აღნიშნა, რომ „ეს პანდემია არ არის მტერი, რომელსაც საზღვრებს იქით გადარეკავ და მშვიდად იქნები. ის შეიძლება ისევ შემობრუნდეს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თემა, ძალიან მნიშვნელოვანია პრეცედენტების შექმნა. საგანგებო მდგომარეობის შემოღების პრეცედენტი არ უნდა დავუშვათ, როგორც ვინმეს დასჯის იარაღი, ამ ასპექტსაც უნდა შევხედოთ და

საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დაადასტუროს, რომ საგანგებო მდგომარეობის შემოღება ყოველთვის ყველანაირად გამართლებულია.“

საერთაშორისო გამოცდილება

ჩვენი კვლევის ფარგლებში, საქართველოს გარდა, ასევე გვსურს, მიმოვიხილოთ საგანგებო რეჟიმის ფარგლებში, სხვა სახელმწიფოების მიერ არჩეული გზა. შევაფასოთ მათი დემოკრატიული ინსტიტუციების რეაგირება და ქმედებები, რომლებიც პანდემიასთან ბრძოლაში განახორციელეს, ასევე მიღებული რეგულაციები და მათი გამოსადეგობისა და პროპორციულობის საკითხი. სწორედ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით კი შესაძლებელია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და გამოყენება ქვეყანაში რაციონალური და ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად.

საგანგებო კაჟიჩი  შვედეთსა და  გერმანიის

ეპიდსიტუაციასთან ეფექტურად გამკლავების კუთხით კარგი მაგალითია შვედეთი და ესტონეთი, სადაც ვირუსის წინააღმდეგ გამჭვირვალე ზომები სწრაფად და ეფექტურად იქნა შემოღებული. მათ არ დაჭირვებით იზოლაციის მკაცრი წესებისა და რეგულაციების მიღება, რადგან ადამიანები მოქმედებდნენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და იცავდნენ სოციალური დისტანციის წესებს. **ამგავრი მიდგომების დანერგვა, მათ შორის, ჩრდილოეთის ქვეყნების კულტურულმა თავისებურებებმაც გაადვილა. სწორედ პანდემიის პირველი ფაზის დროს გაჩნდა ხუმრობა, ესტონელები წუხდნენ „როდის დავუბრუნდებით სოციალური დისტანციის ნორმალურ მანძილს, ვინაიდან 2 მეტრიანი დისტანცია ძალიან მცირედ ეჩვენებოდათ.“**

ბუნებრივია, ჯანდაცვის სისტემის გამართულობა თავის დადებით როლს თამაშობდა: საავადმყოფოები კარგად იყვნენ აღჭურვილნი და მზად იყვნენ კრიზისის დასაძლევად. ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც რისკ ჯგუფს განეკუთვნებიან, სახლში რჩებოდნენ უსაფრთხოების მიზნით. **საზოგადოებრივი თავშეყრის აკრძალვიდან გამომდინარე, ისედაც მაქსიმალურად ინტერნეტიზირებულ და კომპიუტერიზებულ ქვეყნებში სასწავლო დაწესებულებები მყისიერად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ესტონეთი კორონავირუსის დაწყებამდე უკვე კარგად იყო გათვითცნობიერებული და მომზადებული ციფრული ტექნოლოგიების კუთხით, შესაბამისად, ონლაინ სივრცეში გადასვლა მათ მარტივად მოახერხეს და ამ მხრივ, არ შექმნიათ პრობლემები.**

საკანგებო ჩეჩიმი პოლონეთში

სამწუხაროდ, ზოგიერთ სახელმწიფოში დაფიქსირდა საკანგებო რეჟიმის ფარგლებში არსებული შეზღუდვების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების ფაქტიც. მაგალითად, გასული წლების მანძილზე პოლონეთში აქტუალური და რეზონანსული თემა იყო, საკანონმდებლო დონეზე, ქალთა რეპროდუქციული უფლებების შეზღუდვა, რასაც თან ახლდა მასობრივი პროტესტი და წინააღმდეგობა. **COVID-19-ის პირობებში, პოლონეთში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, შეიზღუდა დემონსტრაციების მეშვეობით პროტესტის გამოხატვის უფლება. პოლონეთის პარლამენტი კი, აბორტის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობის მიღების მიზნით, ამ შესაძლებლობის ბოროტად გამოყენებას ცდილობს. ამ პროცესების საპასუხოდ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა - დუნია მიატოვიჩმა, განაცხადა, რომ**

” COVID-19-ის პანდემიის ამ საგანგებო დროში, საჭიროა, პოლიტიკოსებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა დაძლიონ ისეთი ზომების მიღების ცდუნება, რომლებიც შეუსაბამოა ადამიანის უფლებებთან”

გარდა ამისა, პოლონეთში ვირუსის აქტიური გავრცელება დაემთხვა პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის შუა პერიოდს. იმის შიშით, რომ პანდემიურ კრიზისს შეეძლო გაენადგურებინა მოქმედი პრეზიდენტის, ანჟეი დუდას, რეიტინგი და მისი პოპულარობა მოსახლეობაში, პრეზიდენტ დუდას პოლიტიკური პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ (PiS), ყველაზე ნაირად ცდილობდა არჩევნები ჩაეტარებინა პანდემიის კრიზისის მიუხედავად. შესაბამისად, მთავრობამ არ გამოაცხადა ბუნებრივი კატასტროფის მდგომარეობა (რომელიც მოიცავს ეპიდემიასაც), რაც, თავის მხრივ, არჩევნებისათვის მზადების პროცესს შეაჩერებდა. ნაცვლად ამისა, აღამასრულებელმა ხელისუფლებამ განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შესაბამისადაც არჩევნებზე ხმის მიცემის სტანდარტული წესი შეიცვალა საფოსტო კენჭისყრით, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა არჩევნების საყოველთაოობის კონსტიტუციური პრინციპი. **ევროკავშირი, ეუთო და თვით პოლონეთის საარჩევნო კომისიაც კი შეშფოთებას გამოთქვამდნენ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვინაიდან, „საპრეზიდენტო არჩევნები, საფოსტო ბიულეტენის გამოყენებით, სავარაუდოდ არ იქნება თავისუფალი ან სამართლიანი.“ საარჩევნო კამპანიის დროსაც, რა თქმა უნდა კანდიდატებს არ ჰქონიათ თანაბარი შესაძლებლობა, ვინაიდან მოქმედი პრეზიდენტი იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს გადასაადგილებლად და კამპანიის ჩასატარებლად იმ დროს, როდესაც სხვა კანდიდატები თვითიზოლაციის რეჟიმში იმყოფებოდნენ. თუმცა, სასამართლოებისა და ოპოზიციის მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადების შედეგად, პარტია სამართალი და სამართლიანობა იძულებული გახდა უკან დაეხია კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე და გადაედო არჩევნები.**

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში სახელისუფლებო ძალების გადანაწილების ქართულ მოდელს არც უნგრეთი ჩამოუვარდება. როგორც ზემოთ განვიხილეთ, საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებები ფაქტობრივად, მთავრობას გადააბარა, რომლის მიერ გამოცემულ დადგენილებებზე აქტიური საპარლამენტო კონტროლი ვერ ხორციელდება.

ევროკავშირის წევრ უნგრეთში კი, პარლამენტმა პრემიერ-მინისტრისათვის უფლებამოსილებების დელეგირება მოახდინა. ძალების ამგვარი გადანაწილება ხელისუფლების შტოებს შორის უპრეცედენტოა ევროკავშირის მასშტაბით. ეს უკანასკნელი 2020 წლის 30 მარტს უნგრეთის პარლამენტის მიერ ე.წ. აღმშქურველი აქტის, **Enabling Act**, მიღებით განხორციელდა. რაც ძალიან მალე შეფასდა, როგორც „COVID-19-თან გამკლავების მიზნით გამოცხადებული საგანგებო ვითარების საფარქვეშ დამალული, დიქტატორული უფლებამოსილებები“. წინამდებარე აქტი აღმასრულებელს ანიჭებს ძალაუფლებას, თავად გააგრძელოს ამ აქტის მოქმედება მანამ, სანამ საგანგებო მდგომარეობა არ დასრულდება. ხოლო საგანგებო რეჟიმის დასრულების საკითხსაც თავად მთავრობა საპარლამენტო კონტროლის გარეშე აფასებს და წყვეტს. საქართველოც იგივე პრობლემის წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილებებით მიღებული შეზღუდვები შემოფარგლულია ამავე დადგენილებით მიღებული პერიოდით, პრემიერ-მინისტრს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ პერიოდის გახანგრძლივება ან/და შეზღუდვების გაგრძელება.

2020 წლის 29 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ მიერ, COVID-19-ის გამოწვევების შესახებ, ორგანიზებულ რიგით მესამე ვებდისკუსიის დროს, მომხსენებელმა **ფილიპ ჟუროუსმა** პანდემიის წინააღმდეგ ჩეხეთის მთავრობის რეაგირებაზე საუბრისას განაცხადა:

„გრძელდება მთავრობის ძალიან დამახინჯელი შეტყობინებები და ძირითადად, ძალაუფლებისთვის ბრძოლა კოალიციის წევრებს შორის. ასევე, როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი ძირითადად ორიენტირებულია საკუთარ PR-ზე და არა იმის გარკვევაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს (კრიზისი) ეფექტურად. კიდევ უფრო თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ მთავრობა გადაწყვეტილებებს რამე მონაცემებზე დაყრდნობით არ იღებს. არ კეთდება კვლევები საჭირო საკითხებზე, რომლებიც არგუმენტებად გამოდგებოდა იმისთვის, თუ სად და როდის უნდა დაიწყოს ან დამთავრდეს მოქმედებები. შესაბამისად, ეს ძალიან უცნაური და დამახინჯელია.“

ამავე ვებდისკუსიისას მომხსენებელმა გერმანიიდან, **დიდი კირსტენ ტატლოუმი** ისაუბრა იმ სახელმწიფოების მთავრობების მიერ არჩეულ გზაზე, რომელთა ქმედებებში ავტოკრატიული მიზნები იკვეთება:

„დიქტატურაში მხოლოდ ლენინური პოზიციებია, რომლის მიზანიც ამართლებს საშუალებას. ასე რომ, ყველაფერი გამართლებულია, თუ ის გარკვეულ შედეგს გამოიღებს. ყოველ წუთს, როდესაც მესმის ეს ლოგიკა, ვფიქრობ, რომ უნდა გავაცნობიეროთ რასთან გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს სისტემებთან, რომლებიც ძალიან კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მზად არიან ამ გზაზე განიცადონ ნებისმიერი ზარალი/ზიანი.“

კოვიდპანდემიის პერიოდში პოლიტიკური მანიპულაციის მაგალითებზე, პოლონეთის და ჩეხეთის მსგავსად, თურქეთის მედიაც იუწყებოდა. კერძოდ, ალი კარაკოჩმა, მედიცინის დოქტორმა და ანკარაში თურქეთის სამედიცინო ასოციაციის ხელმძღვანელმა, თურქეთის მთავრობა დაადანაშაულა დღიურად რეგისტრირებული ინფიცირების შემთხვევებისა და გარდაცვლილთა რიცხვის რეალური მაჩვენებლების დამალვაში. **თურქულ ყოველდღიურ გაზეთთან - Cumhuriyet - ინტერვიუში კარაკოჩი აცხადებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემით, დღეში 1,500 შემთხვევა, რეალურად, მხოლოდ ანკარაში დაფიქსირებული ინფიცირებული პაციენტების რაოდენობის ტოლიც კი არაა. ამასთან სამედიცინო ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, საავადმყოფოებში არ არის საკმარისი ადგილები ინფიცირებულთათვის, ამასთან არ ყოფნით ადამიანური რესურსიც, ექიმები ხშირად დგანან არჩევანის წინაშე, რომელ პაციენტს უმკურნალონ. გარდა ამისა, სამედიცინო პერსონალი დატვირთულ რეჟიმში მუშაობის გამო გადაღლილია და მთავრობა მათ ვერც საჭირო ეკიპირებით უზრუნველყოფს, რის გამოც მათი სიცოცხლაც საფრთხეშია.** თუმცა, პანდემიის პერიოდში, თურქეთის ხელისუფლების მიერ ძალების უზურპაცია და პოლიტიკური მიზნებით გამოყენება ამით არ სრულდება. **ადამიანის უფლებათა დამცველების მოსაზრებით, რეჟიმ თაიფ ერდოღანს არ ჭირდება კორონავირუსიდან გამომდინარე არსებული ეპიდსიტუაციით სარგებლობა, როგორც ეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის შემთხვევაში მოხდა, ვინაიდან, ფაქტობრივად, მმართველობის ყველა სადავე ისედაც მის ხელშია.** თუმცა, თურქეთის მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა, კრიზისის დროს კიდევ უფრო მეტად გააკონტროლოს მედია ნარატივი. როგორც

BBC იუწყება, ასობით ადამიანი დააკავეს სოციალურ ქსელში კოვიდ -19-ის შესახებ "პროვოკაციული პოსტების" გამოქვეყნების გამო. იურისტი ჰურემ სონმეზი, რომელიც ბრალდებულებს წარმოადგენს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეებში, აცხადებს, რომ ეპიდაფეთქება პრეზიდენტ ერდოღანისთვის შესაძლებლობის მომენტი, ვინაიდან პანდემიის გამო საზოგადოება და ოპოზიცია უფრო სუსტია.

ნოვოროზ ბაირამის დღესასწაულის პერიოდში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, გამოიყენა ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე შექმნილი მდგომარეობა და შეუტია ოპოზიციას მუქარით, რომ კორონავირუსის პანდემიის კრიზისში მათმა როლმა, შესაძლოა, საჭირო გახადოს მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება. მისი თქმით, ოპოზიცია პროვოკაციებით შეეცდება ქვეყანაში არეულობისა და პანიკის გამოწვევას. პრეზიდენტის ავტოკრატიული დამოკიდებულება გამოვლინდა მის განცხადებაშიც, რომლის მიხედვითაც, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ოპოზიციის წარმომადგენელთა იზოლირება შეიძლება იქცეს ისტორიულ აუცილებლობად. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ბაქომ ძალიან დააგვიანა საზღვრის დახურვა ირანთან, რამაც ქვეყანაში ვირუსის გავრცელება გამოიწვია.

7 აპრილს ბიოლის ფონდის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში სტეფან მეისტერი საუბრობს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ კორონავირუსის კრიზისით მანიპულაციასა და ოპოზიციის წინააღმდეგ მიზანიმართულ ბრძოლაში გამოყენებაზე. ამ მოსაზრების დასტურად კი იხსენებს, რომ **პრეზიდენტის გამოსვლიდან მალევე, ოპოზიციის წარმომადგენელთა ნაწილს თავს დაესხნენ უსაფრთხოების ძალები და ზოგიერთი მათგანი დააკავეს კიდევ.**



ამ მხრივ არც სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური მაჩვენებლები განსხვავდებოდა. პანდემიიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანამ განიცადა ეკონომიკური ვარდნა, მნიშვნელოვანდ შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემებიც, თუმცა სახელმწიფოების ნაწილმა აქტიურად დაიწყო მუშაობა ეკონომიკის გაძლიერებაზე. **მაგალითისთვის, 2020 წლის მეორე ნახევარში გერმანიამ მნიშვნელოვანდ შეამცირა დამატებითი ღირებულების გადასახადები, მიიღო შესაბამისი ზომები ინვესტიციების მოსაზიდად და მოხმარების გასაზრდელად. ამ ტემპებით 2021 წლისთვის გერმანია მთლიანი შიდა პროდუქტის 5¼%-ით ზრდას ელოდება.**

2020 წლის 29 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ მიერ ორგანიზებულ რიგით მესამე ვებდისკუსიის COVID-19-ის გამოწვევების შესახებ, მომხსენებელმა **დიდი კირსტენ ტატლოუმი** ისაუბრა პანდემიის პერიოდში გერმანიის მთავრობის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე და შეაფასა ისინი ევროპაში არსებული საერთო ფონთან მიმართებით: „**გერმანიის მთავრობამ საკმაოდ სწრაფად და ოპერატიულად შესთავაზა დახმარება დამოუკიდებელ „ფრილანს“ ბიზნესსა და მუშაკებს. 5000 ევროს სთავაზობდნენ თითქმის ყველას, ვინც დახმარებას საჭიროებდა ან ამბობდა, რომ მას ეს სჭირდებოდა. რეალურად, სახელმწიფოს ეს შეთავაზება საკმაოდ მალე გავრცელდა საზოგადოებაში და ბევრმაც ისარგებლა მისით. მთავრობამ ასე ათასობით აპლიკაცია მიიღო ამ დახმარებასთან დაკავშირებით. 5000 ევრო, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი იმისთვის რომ გადარჩეს ბიზნესი ან ის უშტატო თანამშრომელი, რომელმაც დაკარგა კონტრაქტები პანდემიის გამო, თუმცა, ეს ერთგვარი მხარდაჭერის, სოლიდარობის შესტი იყო.**“

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ექსპერტები მშვიდად ყოფნის უფლებას, საკუთარ თავს განვითარებულ დემოკრატიებშიც კი არ აძლევდნენ და საქართველოც არ იყო გამონაკლისი ამ გზაზე.

საგანგებო მდგომარეობის ქართული მოდელის პრობლემები, მხოლოდ სახელისუფლებო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების დისბალანსით არ შემოიფარგლება. **კრიტიკას ვერ უძლებს მთავრობის დადგენილებებისა და პრეზიდენტის დეკრეტების ფარგლებში მიღებული შემზღუდველი რეგულაციები. რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ განჭვრეტადობის სტანდარტს.**

მაგალითისთვის, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს „დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა“, ხოლო, თუკი ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი განმეორებით ჩაიდენს იმავე ქმედებას, დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. **ნორმის ამგვარი ფორმულირება არ შეესაბამება განჭვრეტადობის პრინციპს, ვინაიდან „საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა“ ზოგადი და ფართო ცნებაა. მის ქვეშ, შესაძლოა, მოიაზრებოდეს სხვადასხვა სიმძიმისა და კატეგორიის დასჯადი ქმედებები. ამგვარი მიდგომა, ცალსახად, არასამართლიანი და არათანაზომიერია. პასუხისმგებლობის ისეთი მკაცრი ფორმა, როგორიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა, პირს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში უნდა ეკისრებოდეს. წინამდებარე შემთხვევა მთავრობის მიერ მის ხელში მოქცეული ძალის არაპროპორციული გამოყენების ნათელი მაგალითია. ნებისმიერ დე-**

მოკრავთ ქვეყანაში ამგვარი დებულებები დიდი განხილვის და საპარლამენტო დებატების საგანი გახდებოდა, თუმცა არა ჩვენთან.

მარტივია ეპიდსიტუაციის მართვა მკაცრი რეგულაციებისა და სანქციების პირობებში, როდესაც სამოქალაქო უფლებები შეზღუდულია და საზოგადოება მოკლებულია წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას, სახელმწიფოს მართვა ხელისუფლების მხოლოდ ერთი შტოს ხელშია და საკანონმდებლო ორგანო და სასამართლო მიმდინარე პროცესებში მხოლოდ ფორმალურად, ისიც მინიმალური ინტენსივობითაა ჩართული. სწორედ ამგვარი ვითარების შესახებ წერდა თინათინ ხიდაშელი რადიო თავისუფლების მიერ გამოქვეყნებულ მის ბლოგში, რომ:

”

სწორედ ამიტომ, მაღალია ხელისუფლების ცდუნება გაიმარტივოს ყოფა და ერთი ხელის მოსმით აღკვეთოს, შეზღუდოს, დახუროს ყველაფერი, რაც იმწუთიერი კატასტროფის გამომწვევად მოეჩვენება. ცოტა უფრო გონიერი და ანგარიშვალდებული ხელისუფალი პირველი შოკიდან გამოსვლის შემდეგ საკუთარი გადაწყვეტილებების შეცვლას, რეალობასთან შესაბამებას და საკუთარი ამომრჩევლისგან წამოსული წუხილების მოსმენას იწყებს; მასზე კიდევ უფრო გონიერი და ანგარიშვალდებული ხელისუფალი კი, დამატებით, დღევანდელი პრობლემების გრძლევადიანი კატასტროფის პრიზმაში ანალიზს შეუდგება.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 21 მარტის პრეზიდენტის დეკრეტი №1-ის მე-8 მუხლით გათვალისწინებულია შეუსაბამოდ მაღალი ჯარიმები. დეკრეტის შესაბამისად, მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის 15 000 ლარის ოდენო-

ბით. „რადიო თავისუფლებას“ ცნობით, 2020 წლის 27 მარტიდან 10 აპრილამდე 9 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის ჯარიმა გამოიწერა, საგანგებო მდგომარეობისა და საკარანტინო წესების დარღვევის გამო. პირველი აპრილიდან მთავრობის დადგენილებით გაიზარდა შეზღუდვები და საგანგებო მდგომარეობას კომენდანტის საათი და სხვა რეგულაციები დაემატა. მაგალითისთვის,

- **აიკრძალა ავტომობილში 3 პირზე მეტი ადამიანის ერთდროულად ჯდომა, მძღოლის გვერდით სავარძელზე მგზავრის განთავსება,**
- **დაწესდა კომენდანტის საათი, რაც იმას ნიშნავდა, რომ საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე, ადამიანებს ეზღუდებოდათ გარეთ ყოფნა,**
- **აიკრძალა 3 პირზე მეტის შეკრება, გარეთ მყოფ ადამიანებს დაეკისრათ ორმეტრიანი დისტანციის ვალდებულება.**

მეტი თვალსაჩინოებისთვის, აღნიშნული რეგულაციების მოქმედების პერიოდში, თუ ცოლ-ქმარი ქუჩაში ორმეტრიანი დისტანციის დაცვით არ გადაადგილდებოდა, პოლიციამ ჩათვალა რომ უფლებამოსილი იყო, თითოეული მათგანი დაეჯარიმებინა 3000 ლარით. იმის გამო, რომ ავტომობილში მძღოლის გვერდით მგზავრის განთავსება აიკრძალა, 4 წევრისგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ისედაც ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ერთ „კლასტერს“ წარმოადგენენ შეეზღუდათ ერთი ავტომობილით გადაადგილების შესაძლებლობა. ყველა ზემოხსენებული წესის დარღვევის შემთხვევაში თითოეული პირი ჯარიმდებოდა 3000 ლარით. ცალსახაა, რომ ამგვარი შეზღუდვები და სანქციები სრულ აბსურდს წარმოადგენს, ვინაიდან გაურკვეველია მათი მიზანი და მიზანშეწონილობა:

- რატომ უნდა ეკრძალებოდეთ იმ პირებს ღია სივრცეში ერთმანეთთან ორ მეტრზე ნაკლები სიახლოვე, რომლებიც ყოველდღიურობაში ერთ სივრცეში ცხოვრობენ და ერთად ატარებენ დროს?

○ ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხი ის არის, რომ ხელისუფლება გაეცა რთული და დეტალური რეგულაციების გზით სიარულს, და ერთი ხელის მოსმით შემოღებული აბსოლუტური აკრძალვების რეჟიმი შემოიღო, რამაც, შესაბამისად, უამრავი აბსურდული აკრძალვა შემოიტანა მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რადიო თავისუფლების ჟურნალისტი, ნასტასია არაბული, გაესაუბრა რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც საგანგებო მდგომარეობის დროს ჯარიმა გამოუწერს. ეს ინტერვიუები კიდევ უფრო ნათლად ასახავს მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების გაუმართლებლობასა და არაპროპორციულობას. გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ამბავს: „**ლადო აბსანძე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მანამ დაატყვევეს, სანამ საგანგებო მდგომარეობის წესები გამკაცრდებოდა, 30 მარტს. ის ზუგდიდის ერთ-ერთ სუპერმარკეტში შვილთან ერთად მივიდა პროდუქტების საყიდლად და გარეთ ელოდა თავის რიგს. სწორედ ამ დროს მივიდნენ მასთან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, სთხოვეს მანქანასთან გაჰყლოდნენ და იმის გამო, რომ არ იცავდა დაწესებულ დისტანციას, ორ მეტრს, საკუთარი შვილისგან, ჯარიმა გამოუწერეს. მისი შვილი, რომელიც სრულწლოვანია, პოლიციელებს არ დაუჯარიმებიათ.**

ლადომ ჯარიმა გაასაჩივრა პოლიციის სამმართველოში, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, არ უჭერებდნენ, რომ მხოლოდ შვილთან ერთად მაღაზიის რიგში დგომის გამო გამოუწერეს ჯარიმა და არაერთხელ ჰკითხეს, კიდევ რაიმე სხვა დარღვევაც ხომ არ ჰქონდა ჩადენილი, რაც ჯარიმის საბაბი გახდა.“ ჩვენ ბოლომდე მივყევით ამ ისტორიას და საბედნიეროდ, გაირკვა, რომ საბოლოოდ ლადოს ჯარიმა ჩამოაწერეს და გადახდა არ მოუწია.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის კუთხით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **2020 წლის 14 მაისის მთავრობის დადგენილება №305-ით** მოიხსნა შეზღუდვა – 3 ადამიანის შეკრების თაობაზე, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეებში, თუმცა პარალელურად, მანქანით სამი ადამიანის გადაადგილების შეზღუდვა კვლავ ძალაში დარჩა, რამაც საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. ადამიანებისთვის გაუგებარი იყო, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ავტომობილით გადაადგილებისას „3 კაციანი შეზღუდვა“ მაშინ, როდესაც, ახალი დადგენილებით, ღია და დახურულ სივრცეში შეკრებილ პირთა დასაშვები რაოდენობა 10-მდე გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა გახარიაშვილმა შემდეგი ახსნა შემოგვთავაზა:

„**ამ შეზღუდვას, მიუხედავად ყველაფრისა, აქვს ძალზე მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური აზრი, რაშიც ჩვენ ექიმები გვარწმუნებენ და ჩვენი მათი გვჯერა, მოგეხსენებათ.**

პრემიერის განმარტება ცალსახად გაუგებარი და დაუსაბუთებელია. მას მაღალი ლეგიტიმაციის ადამიანის ზურგს ამოფარების მცდელობა აქვს და ბუნებრივია არათავსებადია ანგარიშვალდებულებისა და რეგულაციების გამჭვირვალების ელემენტარულ პრინციპებთან. შეზღუდვის ეს ფორმატი უფლებაში ჩარევის ტესტის ლეგიტიმურ საჭარო მიზანსა და გამოსადეგობასაც კი ვერ აკმაყოფილებს, ვინაიდან არ აქვს ლოგიკური ახსნა.

რატომ წარმოადგენს ავტომობილში 4 პირის შეკრება ვირუსის გავრცელების უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ნებისმიერ დახურულ სივრცეში 10 ადამიანის შეკრება?

იგივე სცენარი განმეორდა 2020 წლის 23 მაისს, როდესაც მთავრობამ მიიღო დადგენილება N322 იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ, რომლის შესაბამის

სადაც, მანქანაში 3 ადამიანზე მეტის ყოფნის შეზღუდვა მხოლოდ ტაქსებთან მიმართებით დარჩა, სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე კი მოიხსნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჯანდაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ იმით ახსნა, რომ ტაქსები მგზავრს ხშირად იცვლიან და დაავადების გავრცელების რისკი არსებობს.

აშკარაა, რომ მინისტრის განმარტება ალოგიკური და დაუსაბუთებელია. მაგალითისთვის, თუ ტაქსით გადაადგილება 3 პირს სურს ერთი და იმავე მიზნით ან/და მიმართულებით, მათ ორი ტაქსით სარგებლობა მოუწევთ, ვინაიდან, სამივე მათგანს ტაქსის მძღოლი ერთ ავტომობილში ვერ მოათავსებს, შეზღუდვებიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში ეს სამი პიროვნება მაინც შეხვდება ერთმანეთს დანიშნულების ადგილზე, მაინც ექნებათ კონტაქტი და მაინც გავრცელდება დაავადება. მეტიც, მინისტრის ლოგიკას თუ მიყვებით, ამ შემთხვევაში გავრცელების ორჯერ მეტი ალბათობა არსებობს, რადგან ისინი ორი ტაქსით გადაადგილდნენ. შესაბამისად, გაურკვეველია მთავრობის რეალური მიზანი, რა მიზნით დატოვა მთავრობამ შეზღუდვა ტაქსების მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, ეკონომიკური პირობები საგრძნობლად გაუარესდა და ამ ვითარებაში, მაგალითად, 3 წევრიან ოჯახს, რომელსაც გადაადგილება ესაჭიროება ტაქსით, 2-ჯერ გაეზარდა ტრანსპორტირების საფასური.

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის „ჩაკეტვით“ და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეჩერებით ეპიდსიტუაციის მართვა ბევრად მარტივი გახდა. ქვეყანა გამოირჩეოდა ინფიცირებულთა რაოდენობის სიმცირით და ერთი შეხედვით, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ეფექტური აღმოჩნდა, თუმცა ეს სრული სურათის მხოლოდ მცირე ნაწილია. **2020 წლის 29 მაისს საქსტატმა გამოაქვეყნა 2020 წლის აპრილის ეკონომიკური ზრდის ამსახველი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც მაისის**

თვის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით შემცირდა. ეს ბოლო ათწლეულის განმავლობაში, კონკრეტული თვის პერიოდში, ეკონომიკური ვარდნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. 2020 წლის პირველ 4 თვეში კი ეკონომიკის შემცირების მაჩვენებელი 3.6% იყო. რა თქმა უნდა, Covid-19-დან გამომდინარე ეკონომიკური პრობლემები, არამარტო საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოს შეეხო, თუმცა რიგმა სახელმწიფოებმა, პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად მიიღეს შესაბამისი ზომებიც ეკონომიკური ვარდინის შესაჩერებლად. მაგალითად, **ესპანეთმა შეიმუშავა ე.წ მოკლევადიანი სამუშაო სქემები "ERTEs", რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამუშაო ადგილების შემცირების ტენდენციის შეჩერებისთვის. ეკონომისტების პროგნოზით, ამ ტემპით ესპანეთში 2021 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი 7% პროცენტით უნდა გაიზარდოს. ასევე ლატვიაში 2020 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ეკონომიკა 2.9% -ით შემცირდა, თუმცა მთავრობამ შეიმუშავა სტიმულირების პაკეტი, რომლის მიზანიც, როგორც გერმანიის შემთხვევაში, მოხმარებისა და ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობაა, რამაც 2021 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ით ზრდა უნდა გამოიწვიოს. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ არ გაიზიარა ევროპის სახელმწიფოების მიდგომა და პანდემიასთან ბრძოლას მსხვერპლად შესწირა ქვეყნის ეკონომიკა.**

დასკვნა

ზემოთ განხილული შემთხვევები ნათელი მაგალითია იმისა, რომ პანდემიამ გლობალური დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას და თითქმის ყველა სახელმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი ამ კუთხით, თუმცა მთავრობათა ქმედებები მიმართული იყო არამხოლოდ ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებისკენ, არამედ ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლადაც, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. **2020 წლის სექტემბრის**

მონაცემებით, საქართველოს ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებით 4.35 თეთრით გაუფასურდა შედეგად ერთი დოლარის ღირებულებამ 3.3332 ლარს მიაღწია. ევროსთან მიმართებით კი კურსი 5.2 თეთრით გაუფასურდა, შედეგად ერთი ევროს ღირებულება 3.88 ლარი გახდა.

დიდ სურათზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებები სრულფასოვნად შეფასდეს. დღეს უკვე ერთმნიშვნელოვნია, რომ მათ მიერ გატარებული ღონისძიებები კატასტროფული აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისათვის, რომელიც პანდემიამდეც არ ყოფილა მდგრადი. ნაცვლად იმისა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შემოეთავაზებინათ მოკლე პერიოდზე გათვლილი მოდელი და კონკრეტული სამოქმედო გეგმა უფლებების მინიმალური შეზღუდვით, ქართულმა საზოგადოებამ მიიღო მთავრობის მხრიდან ერთპიროვნულად გამოცხადებული მკაცრი შეზღუდვები. მიუხედავად შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნისა, მოქალაქეებმა დაკარგეს სტაბილურობის შეგრძნება, რადგან მთავრობას ნებისმიერ დროს შეეძლო ახალი დადგენილებით იგივე ან უფრო მკაცრი შეზღუდვების შემოღება. ამ ყველაფერს ემატება ის ფაქტიც, რომ მოახლოებული არჩევნების ან უფრო ზოგადად, საშუალო და გრძელვადიანი გეგმის არ არსებობის გამო, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება უარს აცხადებს პარლამენტში და შესაბამისად საჯარო დისკუსიაზე. ამგავრი მიდგომა კი საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტ დაბნეულობასა და უპერ სპექტივობის განცდას ამძაფრებს.

როგორც ვხედავთ, ძალაუფლების უზურპაციის „ცდუნების“ ფაქტები მრავლადაა როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ძლიერი კონსტიტუციური რეჟიმის შექმნა საკმაოდ რთული გამოწვევაა, რადგან იგი ყოველთვის პოლიტიკური გავლენების ქვეშ მოქცევის საფრთხის წინაშე დგას. მისგან დაცული ვერც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ, როგორც პოლონეთისა და უნგრეთის მაგალითზე ვიხილეთ. შესაბამისად, საჭი-

როა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და სამოქალაქო უფლებების განხორციელების ინტერესს საგანგებო რეჟიმის პირობებშიც კი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო აღმოჩნდება პოლიტიკოსების კეთილი ნების ამარა, რამაც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. თუკი არ იქნება გადადგმული შესაბამისი წინდახედული ნაბიჯები, საგანგებო ზომები, როგორც ეს მათ ახასიათებთ, იმაზე მეტ ხანს გააგრძელდება, ვიდრე ამის საჭიროება არსებობს. ვენეციის კომისიის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ყველაზე მძიმე დარღვევებს სწორედ საგანგებო ვითარებების კონტექსტში აქვს ადგილი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა, რომ

„უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, მთავრობებს ხშირად უწევთ განსაკუთრებული ზომების მიღება. ამგვარი ზომები ნამდვილად გამონაკლისი ხასიათის უნდა იყოს, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უგულებელყოს კანონის უზენაესობის პრინციპი, თუნდაც უკიდურეს სიტუაციებში. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც განსაკუთრებული ზომების ბოროტად გამოყენების პრევენციას უზრუნველყოფენ“.

პანდემიის დასრულების შემდგომ, სახელმწიფოები ახალი გამოწვევების წინაშე დადგებიან როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე დემოკრატიული განვითარების კუთხით, ვინაიდან არავინ იცის, თუ რამდენად ადვილად დათმობენ მთავრობები საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში გაზრდილ უფლებამოსილებებს. „**პანდემიასთან „კარჩაკეტილი“ განწყობით ბრძოლამ შესაძლოა „ნაკლებად ღია, ნაკლებად თავისუფალი და ნაკლებად მდიდარი მსოფლიო შექმნას.“** ამ მხრივ განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დგას, სუსტი დემოკრატიული ტრადიციებისა და მყიფე ინსტიტუტების მქონე ქვეყნები.

1. აკერმანი ბ., „საგანგებო კონსტიტუცია“; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა - საგანგებო მდგომარეობის რეგულირება; ივნისი 2020; გამოცემა №1 / 2020 იხ: [https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20\(2020\)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf](https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20(2020)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf)
2. თინათინ ხიდაშელი (აპრილი 22, 2020) ქართული პოლიტიკური სისტემის კრაზი კოვიდ-19-თან ბრძოლის ველზე; რადიო თავისუფლება; იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93-19-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94/30570585.html>
3. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი; 28.06.2012; იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44>
4. საქართველოს კონსტიტუცია; 29.06.2020; იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
5. Webinar by Civic IDEA, (22.04.2020) Responses from Democracies. Are Russia and China Capitalizing on COVID 19 Crisis? Discussion #2; see: <https://civicidea.ge/wp-content/uploads/2020/05/COVID-19-2-2.pdf>
6. Webinar by Civic IDEA, (15.04.2020) New security challenges brought by Covid-19: Responses by Democracies Discussion #1; see: <https://civicidea.ge/covid19-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>
7. Country compilation of parliamentary responses to the pandemic; IPU, [Last Checked: 10.11.2020] see: <https://www.ipu.org/country-compilation-parliamentary-responses-pandemic>
8. Webinar by Civic IDEA; (14/06/2020) “COVID 19 – How Did Georgian Democracy Meet the Challenges of the Pandemic?” Discussion #8; see: <https://civicidea.ge/wp-content/uploads/2020/06/COVID-19-7.pdf>
9. გიორგი მელიქიძე, ნანა უზნაძე, პარლამენტი საგანგებო რეჟიმის დროს; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა - საგანგებო მდგომარეობის რეგულირება; ივნისი 2020; გამოცემა №1 / 2020 იხ: [https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20\(2020\)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf](https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20(2020)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf)
10. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული 2020 წლის 22 აპრილის პლენარული სხდომის აუდიო ჩანაწერი: <https://info.parliament.ge/#law-drafting/20302> [უკანასკნელად გადმოწმდა 2020 წლის 10 ნოემბერს].
11. საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; 21.03.2020; იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/246794?>

12. კობა ლიკლიკაძე (აპრილი 17, 2020); მართლმადიდებლური აღდგომა კორონავირუსის კრიზისის ფონზე; რადიო თავისუფლება; იხ:
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94/30559924.html>
13. ანეტი მიქელაძე (2020-04-10); საბედისწერო აპრილი – როგორ აღნიშნავენ ადამიანები აღდგომას, რამადანს და პასექის დღესასწაულს პანდემიის დროს; რადიო თავისუფლება; იხ.:
<https://primetime.ge/sabedistsero-aprili-rogor-aghnishnaven-adamianebi-aghdgomas-ramadans-da-paseqis-dghesastsauls-pandemiis-dros/>
14. მსოფლიო პატრიარქის მიმართვა covid-19-ზე; ნეტგაზეთი; [უკანასკნელად გადამოწმდა 10.11.2020] იხ.: <https://netgazeti.ge/news/435519/>
15. 2020 წლის 21 მარტის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი №1 საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №181; 2020 წლის 23 მარტი; იხ:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0>
17. ხერხეულიძე ნ., საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული მიმართება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან – საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მაგალითზე; საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა - საგანგებო მდგომარეობის რეგულირება; ივნისი 2020; გამოცემა №1 / 2020 იხ:
[https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOL%201%20\(2020\)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf](https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOL%201%20(2020)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf)
18. ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული; სტრასბურგი, 2020 წლის 16 აპრილი; იხ.: <https://rm.coe.int/compilation-venice-commission-covid19-geo-2/16809e6513>
19. Oleksi Goncharenko, “Coronavirus Crisis Could Spark Authoritarian Revival”, Atlantic Council
20. Chris Harris (last updated: 12/04/2020); Coronavirus in Europe: Polish MPs set to debate abortion ban while lockdown prevents protest; euronews; see: <https://www.euronews.com/2020/04/12/coronavirus-in-europe-polish-mps-set-to-debate-abortion-ban-while-lockdown-prevents-protes>
21. Commissioner urges Poland’s Parliament to reject bills that restrict women’s sexual and reproductive health and rights and children’s right to sexuality education; STRASBOURG 14/04/2020; See: <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/commissioner-urges-poland-s-parliament-to-reject-bills-that-restrict-women-s-sexual-and-reproductive-health-and-rights-and-children-s-right-to-sexuali?fbclid=IwAR173ivMkNi-eEXxCTueu9cSacgp39MOn2fG2JSupCLBZxGLTjG-saOpAHQ>
22. Edit Zgut (7 May 2020) Authoritarian Regime Durability The Bread and Butter of Hungarian and Polish Backsliding during COVID-19; see: <https://visegradinsight.eu/authoritarian-regime-durability-hungary-poland/>
23. Marc Santora, (July 16, 2020); Poland’s Virus-Delayed Presidential Election Suddenly Looks Tight; nytimes; see: <https://www.nytimes.com/2020/06/27/world/europe/poland-election-.html>

24. Francesca Ratti, Guillaume Klossa, Guy Verhofstadt, Laszlo Andor and others; (Apr 20, 2020) By surrendering to autocracy in the fight against COVID-19, Hungary poisons European ideals; euractiv; see: <https://www.euractiv.com/section/future-eu/opinion/by-surrendering-to-autocracy-in-the-fight-against-covid-19-hungary-poisons-european-ideals/>
25. I-CONnect; April 1, 2020; How COVID-19 Unveils the True Autocrats: Viktor Orbán's Ermächtigungsgesetz; see: <http://www.iconnectblog.com/2020/04/how-covid-19-unveils-the-true-autocrats-viktor-orbans-ermachtigungsgesetz/>
26. ანა ჯაბაური „საგანგებო მდგომარეობა: მოკლე გზა ავტორიტარიზმამდე“, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა - საგანგებო მდგომარეობის რეგულირება; ივნისი 2020; გამოცემა №1 / 2020 იხ: [https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20\(2020\)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf](https://constcourt.ge/files/7/JCL%20-%20GEO%20-%20VOI%201%20(2020)%20Special%20Issue/JCL%20-%202020%20Vol.1%20-%20Special%20Emergency%20Edition%20GEO.pdf)
27. Webinar by Civic IDEA; (29/04/2020) “COVID 19 – Responses from Democracies: France and Germany; What about China?” Discussion #3; see: <https://civicidea.ge/en/the-third-webinar-on-covid-19-responses-from-democracies-france-and-germany-what-about-china/>
28. Hamdi Firat Buyuk; (August 28, 2020); Turkish Government Accused of Hiding Real COVID-19 figures; balkaninsight; see: <https://balkaninsight.com/2020/08/28/turkish-government-accused-of-hiding-real-covid-19-figures/>
29. Coronavirus: Is pandemic being used for power grab in Europe?; BBC (last checked 10.11.2020) see: <https://www.bbc.com/news/world-europe-52308002>
30. Message of congratulation of President Ilham Aliyev to the people of Azerbaijan on the occasion of Novruz holiday 19 march 2020; see: <https://en.president.az/articles/36212>
31. Stefan Meister (7 April 2020); Covid-19 in the South Caucasus – fast reactions and authoritarian reflexes; see: https://ge.boell.org/en/2020/04/07/covid-19-south-caucasus-fast-reactions-and-authoritarian-reflexes#_ftn4
32. european economic forecast Summer 2020 (Interim); see: https://ec.europa.eu/info/sites/info/files/economy-finance/ip132_en.pdf
33. ნატასია არაბული (აპრილი 10, 2020); 9 მილიონ ლარზე მეტის ჯარიმები - ვის და როგორ აჯარიმებენ; see: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98---%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C-/30546695.html>
34. საქართველოს მთავრობის დადგენილება №305 2020 წლის 14 მაისი; იხ.: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4870954?publication=0>
35. on.ge (14 მაისი, 2020 წელი); გახარია: 3 ადამიანზე მეტი შეკრების შეზღუდვა იხსნება, მანქანებზე შეზღუდვა რჩება; იხ: <https://on.ge/story/56085-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-3-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

36. საქართველოს მთავრობის დადგენილება №322 2020 წლის 23 მაისი; იხ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=0>
37. on.ge; ერთ მანქანაში 3 ადამიანის ყოფნის შეზღუდვა მხოლოდ ტაქსებზე დარჩება — გახარია (22 მაისი; 2020 წელი); იხ: <https://on.ge/story/56637-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-3-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93-%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90>
38. შოთა ტყემელაშვილი (29.05.2020); რამ გამოიწვია ეკონომიკის 16.6%-იანი ვარდნა? - გოგიტა თოდრაძის განმარტება; იხ.: <https://bm.ge/ka/article/ram-gamoiwvia-ekonomikis-166-iani-vardna---gogita-todradzis-ganmarteba/57442/>
39. bm.ge (25.09.2020); ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 3.33 ლარი გახდა; იხ.: <https://bm.ge/ka/article/erti-dolaris-oficialuri-girebuleba-333-lari-gaxda/64651/>
40. გრიგოლ მგალობლიშვილი (27.06.2020); პოსტ-პანდემიური მსოფლიო წესრიგი, პერსპექტივა საქართველოდან; Black Sea Trust - German Marshall Fund of the United States; იხ.: http://eprc.ge/uploads/mgaloblishvili_GEO.pdf

სამოქალაქო იუსტიცია

ავტორი:

მარიამ უსენაშვილი & ანო კონეზრაშვილი

პასუხისმგებელი გამომცემად:

სამოქალაქო იდეა

თარგმანი:

შენ ვერსიო

რედაქტორი:

თინათინ ხიდაშელი

Virus of Urgency

- Constitutional Order in Georgia & Responses to Covid 19 Crisis •
- Responses from Democracies •



**FRIEDRICH NAUMANN
STIFTUNG** Für die Freiheit.



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world

B | S | T

The Black Sea Trust
for Regional Cooperation

A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND